



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია

(2019 - 2021)

ბათუმი, 2019

შინაარსი

1	სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის ჩარჩო	iii
	სამინისტროს ინსტიტუციური არსი	iii
	ღირებულება.....	iii
	არსებული სიტუაცია	iv
	ძირითადი მიზანი.....	iv
	სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები	v
2	ორგანიზაციული განვითარების 2019-2021 წლების სტრატეგია	viii
	მიზანი 1: სამინისტროს გააჩნია საინვესტიციო პროექტების წარმატებული პორტფელი	viii
	მიზანი 2: სამინისტრო უზრუნველყოფს ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების პორტფელის მართვას.....	xiv
	მიზანი 3: სივრცითი დაგეგმარება კოორდინირებულია და ინტეგრირებულია სამინისტროს სხვა პროცესებში	xvii
	მიზანი 4: სამინისტროს გააჩნია პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის გამართული ციკლი	xx
	მიზანი 5: ბიუჯეტირების პროცესი კოორდინირებული და გამჭვირვალეა	xxv
	მიზანი 6: აქტივების პორტფელი ოპტიმალურია და ეფექტიანი.....	xxix
	მიზანი 7: საქმიანობის ეფექტიანობის მართვის სისტემა ჩამოყალიბებული და ქმედითია	xxxii

1 სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის ჩარჩო

სამინისტროს ინსტიტუციური არსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ა.რ.) პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კოორდინაცია და პრიორიტეტების კომიტეტის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება;
- საფინანსო სისტემის მართვა, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ჩათვლით;
- აჭარის ა.რ.-ის ქონების მართვა და განკარგვა;
- ინვესტიციების, გრანტების მოზიდვის და საერთაშორისო დახმარებების მიღების მხარდაჭერი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება, რეგიონის სტრატეგიული და სივრცით-ურბანული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება და ზედამხედველობის განხორციელება;
- აჭარის ა.რ.-ის საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების განვითარების სტრატეგიის, გრძელვადიანი პროგრამების, პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება და მონიტორინგი;
- აჭარის ა.რ.-ის კურორტებისა და ტურისტული სექტორის განვითარების სტრატეგიის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და მონიტორინგი.

ღირებულება

სამინისტრო ორიენტირებულია მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაზე.

არსებული სიტუაცია

სამინისტრო:

- განკარგავს და მართავს ა.რ.-ის ქონებას;
- მონაწილეობს ბიუჯეტების პროცესში;
- მონაწილეობს პრიორიტეტების კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გადაწყვეტილებებს იღებს სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის და სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებაში.

სამინისტროს გააჩნია შემდეგი გამოწვევები:

- დეპარტამენტულ დონეზე გაწერილი პოლიტიკის არარსებობა;
- სუსტი კომუნიკაცია ინვესტორებთან: რეაქტიული და არასათანადო შეთავაზების პაკეტი;
- ბიზნეს სექტორისთვის მცირე სერვისების პაკეტი;
- შესაბამისი კვალიფიკაციის საკადრო რესურსების დეფიციტი;
- შესაბამისი ფინანსური რესურსების დეფიციტი.

სამინისტროს გააჩნია შესაძლებლობა:

- შეიმუშავოს, დაამტკიცოს, მართოს, განახორციელოს:
 - ბიზნეს, ინფრასტრუქტურული და სოციალური განვითარების პროექტები;
 - საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტები.

შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორები:

- სათანადო ინვესტორების მოძიების სირთულე;
- შესაბამისი საკადრო რესურსის სიმცირე.

ძირითადი მიზანი

სამინისტრო თავისი რესურსებით მხარს უჭერს აჭარის ა.რ.-ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შესაბამისი ბიზნეს, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხორციელების უზრუნველყოფის გზით.

სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები

ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგია ჩამოყალიბებულია შვიდი ძირითადი მიმართულებით:

1. საინვესტიციო პროექტების პორტფელის მართვა;
2. ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების პორტფელის მართვა;
3. სივრცითი დაგეგმარების კოორდინირება და ინტეგრირება სამინისტროს სხვა პროცესებში;
4. პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;
5. ბიუჯეტირება;
6. აქტივების პორტფელის მართვა;
7. საქმიანობის ეფექტიანობის მართვა.

მიზანი 1: საინვესტიციო პორტფელი

საინვესტიციო პორტფელის მიმართულებით 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- **სამინისტროს გააჩნდეს საინვესტიციო პროექტების წარმატებული პორტფელი.**

რომლის საშუალებითაც მიიღწევა საინვესტიციო პროექტების პორტფელის ოპტიმალურობა, სტაბილურობა, ეფექტიანობა, რაც თანაბრად უზრუნველყოფს აჭარის ა.რ.-ის საჭიროებებს, როგორც რეგიონალურ, ასევე დარგობრივ ჭრილში, მოიცავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებს და თანხვედრაშია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებთან.

მიზანი 2: სერვისების პორტფელი

სერვისების პორტფელის მიმართულებით 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- **სამინისტროს გააჩნდეს ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების პორტფელი.**

რაც უზრუნველყოფს ბიზნეს სერვისების მრავალფეროვნებას, სიმარტივეს, თანაბარ ხელმისაწვდომობას აჭარის ა.რ.-ში მოქმედი კომპანიებისთვის და მხარს დაუჭერს ბიზნეს სექტორის ზრდას და განვითარებას.

მიზანი 3: სივრცითი დაგეგმარება

სივრცითი დაგეგმარების მიმართულებით 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- **სამინისტროს გააჩნდეს კოორდინირებული და ინტეგრირებული სივრცითი დაგეგმარების პროცესი.**

რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება სივრცითი დაგეგმარების და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით, ასევე, თითოეული ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი გარემოს

ტექნიკურ უსაფრთხოებას, მიღებულ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რესპუბლიკის განვითარების პოტენციალის და პრიორიტეტების შესაბამისად.

მიზანი 4: პოლიტიკა

პოლიტიკის განვითარების მიმართულებით სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- სამინისტროს გააჩნდეს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის გამართული ციკლი.

რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის პროცედურების და პრაქტიკის ჩამოყალიბებას და დანერგვას, ასევე, ციკლის გამართული განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

მიზანი 5: ბიუჯეტი

ბიუჯეტირების მიმართულებით სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- სამინისტროს გააჩნდეს კოორდინირებული და გამჭვირვალე ბიუჯეტირების პროცესი.

რაც თანაბრად და სრულად უზრუნველყოფს აჭარის ა.რ.-ის პრიორიტეტულ საჭიროებებს, მათ შორის, საჯარო სექტორის ჩართულობის გაზრდას ბიუჯეტის შედგენის პროცესში, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას.

მიზანი 6: აქტივების პორტფელი

აქტივების პორტფელის მიმართულებით სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- სამინისტროს გააჩნდეს ოპტიმალური და ეფექტიანი აქტივების პორტფელი.

რაც უზრუნველყოფს აჭარის ა.რ.-ის აქტივების განკარგვის პროცესის გამჭვირვალობას, მოქნილობას, საჭიროებებს და რომელიც თანხვედრაშია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებთან.

მიზანი 7: საქმიანობის ეფექტიანობა

ეფექტიანობის მიმართულებით სამინისტროს 2019-2021 წლების სტრატეგიის მიზანია:

- სამინისტროს გააჩნდეს ჩამოყალიბებული და ქმედითი საქმიანობის ეფექტიანობის მართვის სისტემა.

რაც უზრუნველყოფს სამინისტროს ფუნქცია-მოვალეობების ადეკვატურად, კვალიფიკაციის შეასაბამისად გადანაწილებას მის კადრებს შორის და ფუნქციების პროფესიონალურ და დროულ შესრულებას.

2 ორგანიზაციული განვითარების 2019-2021 წლების სტრატეგია

მიზანი 1: სამინისტროს გააჩნია საინვესტიციო პროექტების წარმატებული პორტფელი

რეგიონის ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს საკვანძო ამოცანას წარმოადგენს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესება და რეგიონის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, საინვესტიციო გარემოს დახვეწისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

აღნიშნული ამოცანის შესრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რესპუბლიკის განვითარებაზე ორიენტირებული, მიზნობრივი საინვესტიციო რესურსების მოზიდვა და მათი წარმატებული საინვესტიციო პროექტების პორტფელის სახით ათვისება.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საინვესტიციო პროექტების პორტფელის წარმატება, მიზანშეწონილია, სამინისტროს, ნაცვლად რეაქტიული მიდგომისა, გააჩნდეს პროაქტიული მიდგომა. შესაბამისად, უნდა ხორციელდებოდეს პოტენციური პროექტების პროაქტიული იდენტიფიცირება, მათი შეფასება წინასწარ შემუშავებული პოლიტიკის და მეთოდის შესაბამისად და მათი განხორციელების პერიოდული მონიტორინგი, პროექტის განხორციელების ეტაპების მიხედვით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს გააჩნია შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

1. უზრუნველყოს პორტფელის დივერსიფიცირება მუნიციპალიტეტების და დარგების მიხედვით;
2. აამუშაოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელების მექანიზმი;
3. აამუშაოს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიიღების პროცესში სტრატეგიული მიზანშეწონილობის და განხორციელების რისკების ანალიზის მექანიზმები;
4. მართოს საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკები.

ამოცანა 1.1. პორტფელი დივერსიფიცირებულია მუნიციპალიტეტების და დარგების მიხედვით

არსებული სიტუაცია	<p>ავტონომიური რესპუბლიკის თანაბარი, დივერსიფიცირებული და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ინვესტიციების დაბანდება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თანაბრად ხორციელდებოდეს და არ იყოს კონცენტრირებული მხოლოდ რამდენიმე დარგის და ლოკაციის პროექტებზე.</p> <p>მიმდინარე ეტაპზე სამინისტროს გააჩნია რეაქტიული მიდგომა ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ ხორციელდება პორტფელის მართვა მისი დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. მიმდინარე მდგომარეობით საინვესტიციო პროექტები ძირითადად კონცენტრირებულია ტურიზმის სფეროში, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს ცალკეულ მუნიციპალიტეტებს.</p>
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>საინვესტიციო პროექტების პორტფელის დივერსიფიცირების მიზნით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• ეკონომიკური პოტენციალის და სოციალური საჭიროებების ანალიზი რეგიონალურ ჭრილში;• რესპუბლიკის განკარგვაში არსებული აქტივების საინვესტიციო პოტენციალის შეფასებას;• შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, უძრავი ქონების საინვესტიციო პოტენციალის გაზრდის მიზნით;• ახალი საინვესტიციო პროექტების შექმნა და მისი პრომოუშენი (საინვესტიციო პაკეტების, ვიდეოების მომზადება, რეკლამირება) ინვესტიციების (ადგილობრივი და უცხოური) მოზიდვის მიზნით;• მუნიციპალიტეტებთან და სხვა უწყებებთან ღია დიალოგის და კოორდინაციის მექანიზმის ამუშავებას;• ფინანსური რესურსების მომწოდებლებთან (ინვესტორები, დონორები, ფინანსური ინსტიტუტები) საინვესტიციო შესაძლებლობების და საჭიროებების პროაქტიული კომუნიკაციის პლატფორმის ამუშავებას;

- საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტიული მართვის მიდგომის ჩამოყალიბებას და დანერგვას.
- მოსალოდნელი შედეგები**
- ყველა დარგს, ა.რ.-ის ყველა მუნიციპალიტეტში მიეცემა განვითარების თანაბარი, მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობა;
 - პორტფელი მოქნილია და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე სწრაფ რეაგირებას იძლევა.
- ინდიკატორები**
- პორტფელში არსებული დარგების რაოდენობა;
 - პორტფელით დაფარული მუნიციპალიტეტების რაოდენობა, ინვესტიციების ოდენობა მუნიციპალიტეტების და დარგების მიხედვით;
 - ინვესტიციების ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალიტეტების მიხედვით.
- რისკები**
- არასწორად შეფასებული განვითარების პოტენციალი;
 - მუნიციპალიტეტებთან შეუთანხმებლობა;
 - მიზნობრივი ინვესტიციების მიუწვდომლობა;
 - მუნიციპალიტეტის სუსტი ჩართულობა.

ამოცანა 1.2. საინვესტიო პროექტების პორტფელი მოიცავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებს

არსებული სიტუაცია საჯარო და კერძო თანამშრომლობა გულისხმობს საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლის მიზანია საზოგადოებრივი/საჯარო ინფრასტრუქტურაზე წვდომის ან/და საჯარო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

ამჟამად საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონი მიღებულია, რაც ქმნის კერძო სექტორის განვითარების ახალ შესაძლებლობას. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე, რესპუბლიკის მასშტაბით არ არსებობს აღსრულების მარეგულირებელი ჩარჩო, შესაბამისი ცოდნა და შესაძლებლობები.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელების მექანიზმების ასამუშავებლად, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელების შიდა მარეგულირებელი და პროცედურული ჩარჩოს ჩამოყალიბებას;• იდენტიფიცირებული პროექტების წინარე კვლევის განხორციელება;• საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოტენციური საპილოტე პროექტების იდენტიფიცირებას და მათ წინასწარ შეფასებას;• იდენტიფიცირებული საპილოტე პროექტების ინიცირებას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• საჯარო და კერძო თანამშრომლობის პლატფორმა შექმნილია.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• კერძო სექტორის ინტერესი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებაში.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• იდენტიფიცირებული პროექტები არაეფექტიანია და პრაქტიკაში განხორციელებადი არ არის:<ul style="list-style-type: none">○ არ არსებობს მოთხოვნა პროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ სერვისზე/პროდუქციაზე;○ განსახორციელებელი პროექტის წარმოდგენილი ღირებულება არ არის გონივრული და არ შეესაბამება წარმოდგენილი პროექტის მიზნებს;○ არ არსებობს პროექტის განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსი (ფინანსური, მენეჯერული, საკადრო);• ხარვეზები ცენტრალური ხელისუფლების საჯარო და კერძო თანამშრომლობის ინფრასტრუქტურაში.

ამოცანა 1.3. საინვესტიციო გადაწყვეტილებები მიიღება სტრატეგიული მიზანშეწონილობის და განხორციელების რისკების ანალიზის საფუძველზე

არსებული სიტუაცია მოცემული მდგომარეობით, სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებული საინვესტიციო პროექტების განხილვის განყოფილების ფუნქციებია: აჭარის ა.რ.-ის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ საინვესტიციო პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის, ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და საპრივატიზებო ობიექტების დათვალიერების უზრუნველყოფა. ამჟამად არსებული რისკების ანალიზის სისტემა საჭიროებს სრულყოფას შესაბამისი მეთოდოლოგიის და პროცედურის შემუშავების საშუალებით.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები იმისათვის, რომ საინვესტიციო გადაწყვეტილებები მიღებული იქნას პროექტების განხორციელების რისკების ანალიზის საფუძველზე და ამავე დროს, უზრუნველყოფილი იყოს მათი სტრატეგიული მიზანშეწონილობა, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო ჩამოაყალიბებს, შეიმუშავებს და დანერგავს:

- პოტენციური პროექტების ანალიზის სისტემის კრიტერიუმებს;
- საინვესტიციო პროექტების მოსამზადებელ მეთოდოლოგიას;
- საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროდეცურას;
- დაინტერესებულ პირებზე ზეგავლენის ანალიზის მიდგომას.

მოსალოდნელი შედეგები • ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებები.

ინდიკატორები • წარმატებული პროექტების წილი მთელ ფორტფელში.

რისკები • არასწორად განსაზღვრული სტრატეგიული მიზანშეწონილობა;

• პროტექციონიზმის შემთხვევები;

- სათანადო კადრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

ამოცანა 1.4. უზრუნველყოფილია საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკების მართვა

არსებული სიტუაცია	მიმდინარე ეტაპზე საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკების მართვა არ ხორციელდება პროაქტიული მეთოდით. ასეთი მეთოდი შეიძლება იყოს პროექტის მიმდინარეობის ეტაპობრივი მონიტორინგი, განმახორციელებელი ორგანიზაციის მონიტორინგი. საინვესტიციო პროექტების სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად ამჟამად სამინისტრო იყენებს სანქციების პრინციპს.
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკების მართვის მიზნით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს: <ul style="list-style-type: none">• ინვესტორებთან პროაქტიული კომუნიკაციის პროცედურის შემუშავებას;• საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის და მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმის შექმნას;• მუნიციპალიტეტების ჩართულობას მათ მონიტორინგში;• საინვესტიციო პროექტების განხორციელების რეგულარული ანგარიშგების მექანიზმის ჩამოყალიბებას;• საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად სამინისტროს მიერ დროული რეაგირების და უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმის ჩამოყალიბებას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობის კონტროლი და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების პროაქტიული გამოვლენა, რის შედეგადაც გაიზრდება საინვესტიციო პროექტების განხორციელების

ხარისხი (ვადების დაცვა, პროექტების შესრულების ხარისხი).

ინდიკატორები

- ვადაგადაუცილებელი და წინასწარ განსაზღვრულ ვადებში დასრულებული საინვესტიციო პროექტების წილი მთლიან საინვესტიციო პორტფელში.

რისკები

- პროაქტიული მიდგომის არაეფექტიანობა და სანქციებით მართვა.

მიზანი 2: სამინისტრო უზრუნველყოფს ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების პორტფელის მართვას

სამინისტროს ბიზნეს სერვისების მწირი პორტფელი გააჩნია, რაც აფერხებს ბიზნეს სექტორის ზრდას და განვითარებას. სამინისტროს არსებულ სერვისებში შედის მაკროეკონომიკური ინფორმაციის მიწოდება პოტენციური ინვესტორების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესების სასესხო პროცენტის სუბსიდირება, პერიოდული კვლევები ტარდება „ეკონომიკური ობსერვატორიის“ საშუალებით, თუმცა მისი ეფექტურად გამოყენება ვერ ხდება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს აქვს შემდეგი ამოცანა:

1. მოახდინოს შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირება და შესთავაზოს ბიზნეს სექტორს სხვადასხვა პაკეტები;
2. უზრუნველყოს გამარტივებული და გამჭირვალე სერვისების ბიზნესებისთვის მიწოდება.

ამოცანა 2.1. განვითარების საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისები იდენტიფიცირებულია და შეთავაზებულია სხვადასხვა პაკეტების ბიზნეს სექტორისთვის

არსებული სიტუაცია

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ზღუდავს სამინისტროს სამეწარმეო საქმიანობისთვის საგრანტო თანხის გამოყოფას, რაც ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია აჭარა ა.რ.-ის ბიზნეს სექტორზე მორგებული სრულყოფილი სერვისების პაკეტის არსებობისთვის.

2019-2021 წლების

განმავლობაში

სამინისტროს მიერ

ბიზნეს სექტორის განვითარების საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების იდენტიფიცირების და შესაბამისი სხვადასხვა პაკეტების შემუშავების და მისი ბიზნეს

განსახორციელებელი ქმედებები	<p>სექტორისთვის შეთავაზების მიზნით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• ბიზნესების საჭიროებების გამოვლენას დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში;• შესაბამისი საგრანტო და სასესხო პროგრამების პაკეტების შემუშავებას;• საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას სამინისტროსთვის გრანტების გაცემის უფლების მოპოვების მიზნით;• სპეციალური პროგრამების პაკეტის შემუშავებას, ბიზნესებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით;• საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტის შემუშავებას ბიზნესების შესაძლებლობების განვითარების მიზნით;• ბიზნესებისთვის პოტენციურ ინვესტორებთან და საექსპორტო ბაზრებთან კომუნიკაციის პლატფორმის ჩამოყალიბებას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• ბიზნეს სექტორისთვის ხელმისაწვდომია მასზე მორგებული სხვადასხვა სერვისების პაკეტი, რაც საშუალებას მისცემს მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას და სექტორის განვითარებას.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• ბიზნეს სექტორიდან მიმართვების რაოდენობა;• დაფინანსების ოდენობა ბიზნეს სექტორში;• ბენეფიციარების რაოდენობა.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• საკანონმდებლო ბერკეტების არარსებობა;• სერვისების არასწორი სეგმენტაცია;• ბიზნეს სექტორის არასათანადო მზაობა;• ბიზნეს სექტორის მიერ სერვისების პაკეტის არამიზნობრივი გამოყენება.

ამოცანა 2.2. გამართივებულია და გამჭირვალეა ბიზნესებისთვის სერვისების მიწოდება

არსებული სიტუაცია	მიმდინარე მდგომარეობით სამინისტროს არ აქვს ათვისებული სერვისების მიწოდების ელექტრონული საშუალებები, რაც მკვეთრად ართულებს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა სამინისტროს მოქმედების თანამედროვე სტანდარტებზე გადასაყვანად, რაც თავის მხრივ გაზრდის მის გამჭვირვალობასაც.
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>ბიზნეს სექტორის განვითარების საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების იდენტიფიცირების და შესაბამისი სხვადასხვა პაკეტების შემუშავების და მისი ბიზნეს სექტორისთვის შეთავაზების მიზნით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• სერვისების (მათ შორის, ელექტრონული) განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;• სტრატეგიის შესაბამისად, ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების უზრუნველყოფას;• მომსახურების ცენტრების შექმნა და რეგულარული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდებას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• ბიზნეს სექტორთან კომუნიკაციის პროცესის ეფექტურობის გაზრდა.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• მომსახურების მიწოდების ციკლის დრო;• მიმართვების რაოდენობა;• ელექტრონული სერვისების მეშვეობით მიწოდებული მომსახურების შეფარდება რეგულარულ მიმართვებთან.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• ელექტრონულ სერვისებზე გადასვლის რზისტენტულობა;• რესურსების (ადამიანური, ფინანსური) მიუწვდომლობა.

მიზანი 3: სივრცითი დაგეგმარება კოორდინირებულია და ინტეგრირებულია სამინისტროს სხვა პროცესებში

ამჟამად სივრცითი მოწყობის და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს აჭარის ა.რ.-ის ტერიტორიების კატეგორიზაციას (სივრცითი პოლიტიკის განვითარება). აღნიშნული დეპარტამენტის დებულებით განისაზღვრება მშენებლობის ნებართვების გაცემა და სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური ზედამხედველობა. თუმცა, დაგეგმარების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გასაუმჯობესებელია რესპუბლიკური და მუნიციპალური სამსახურების ჩართულობა და შესაბამისი გეგმების მათთან შეჯერების პროცესი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს გააჩნია შემდეგი ამოცანები:

1. განახორციელოს სივრცითი დაგეგმარება მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით;
2. უზრუნველყოს სივრცითი დაგეგმარების ინტეგრაცია რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პროცესში;
3. უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების, მოსახლეობის და ბიზნესების ჩართულობა რესპუბლიკაში ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში.

ამოცანა 3.1. სივრცითი დაგეგმარება ხორციელდება მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით

არსებული სიტუაცია სივრცითი მოწყობის და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტებს და მუნიციპალიტეტებს შორის არსებული კოორდინაციის პროცესი საჭიროებს სრულყოფას. ამ მომენტისთვის არ არის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი მუნიციპალიტეტებთან, მემორანდუმის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ეფექტური კომუნიკაციის გასამართად. გარდა ამისა, არსებობს ცნობადობის ამაღლების საჭიროება, რათა დაინტერესებული პირები უკეთ გაეცნონ სივრცითი განვითარების დოკუმენტს და კოორდინირების შესაბამის პროცედურას.

ხ2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები იმისათვის, რომ სივრცითი დაგეგმარების პროცესი ხორციელდებოდეს მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- მუნიციპალიტეტებთან სივრცითი დაგეგმარების საკითხების განხილვას და დაგეგმვის შეჯერებას;

- მუნიციპალიტეტებთან სივრცითი დაგეგმარების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმების შემუშავებას და გაფორმებას;
 - მუნიციპალურ სამსახურებთან გაცნობითი და სასწავლო შეხვედრების მოწყობას, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტის პრაქტიკაში გამოყენების სრულყოფა.
- მოსალოდნელი შედეგები**
- სივრცითი მოწყობა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს.
- ინდიკატორები**
- სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.
- რისკები**
- მუნიციპალიტეტების ერთმანეთთან შეუთანხმებლობა.

ამოცანა 3.2. სივრცითი დაგეგმარება ინტეგრირებულია რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პროცესში

არსებული სიტუაცია სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტმა დაახლოებით ხუთი წლის წინ შეიმუშავა სივრცითი მოწყობის დოკუმენტი, რომელიც თანხვეთრაში იყო რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების გეგმებთან, თუმცა შედგენილი დოკუმენტი განსახილველად გადაეცა ცენტრალურ მთავრობას და მასზე რეაგირება ჯერჯერობით არ მომხდარა. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი განხილვის სტადიაშია, თუმცა აუცილებელია მისი განახლება ამჟამინდელ საჭიროებებზე მოსარგებად. მოცემული სიტუაციით სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტი დამტკიცებულია და ძალაშია მუნიციპალურ დონეზე.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პროცესში სივრცითი დაგეგმარების ინტეგრირების მიზნით, 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- ორგანიზაციული და პროცედურული ჩარჩოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სივრცითი მოწყობის პროცესის მონაწილეობას სხვა პროცესებში;

- აჭარისა და მუნიციპალური სივრცითი მოწყობის გეგმების ახალ გამოწვევებთან თავსებადობის შეჯერებას რესპუბლიკურ და მუნიციპალურ სამსახურებთან.
- მოსალოდნელი შედეგები**
- ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პროცესის ჰარმონიზაცია.
- ინდიკატორები**
- ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების რაოდენობა, სადაც ჩართულია სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- რისკები**
- შიდა კოორდინირებულობის დაბალი დონე.

ამოცანა 3.3. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტების, მოსახლეობის და ბიზნესების ჩართულობა რესპუბლიკაში მიმდინარე ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში

არსებული სიტუაცია ამჟამად პროაქტიული მიდგომა ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაბალ დონეზეა განვითარებული. უსაფრთხოების მექანიზმის გამართულობა დიდწილად კერძო პირების თვითმონიტორინგზეა დამოკიდებული, რაც ცნობიერების დაბალი დონის გამო, პრაქტიკაში არასრულყოფილად ხორციელდება. დაინტერესებული პირები კარგად არ იცნობენ საჭირო პროცედურებს. არ არსებობს ტექნიკური უზრუნველყოფის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ერთიანი სანებართვო ელექტრონული სისტემა.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები

ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში ადგილობრივი მთავრობის და მოსახლეობის, და ასევე ბიზნეს სექტორის ჩართვის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ნებართვების მიღებისა და რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის შემუშავებას და დანერგვას;
- ტექნიკური უსაფრთხოების პროცესებში ჩართული და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების

ასამაღლებლად პერიოდული თემატური შეხვედრა-სემინარების ჩატარებას;

- დარგში მოქმედი რეგულაციების გასაცნობად საინფორმაციო ბუკლეტებისა და ინფორმაციის ელექტრონულად გავრცელების მეთოდების გამოყენებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ტექნიკური უსაფრთხოების ზომების შესახებ ამაღლებული ცნობიერება და მათი დაცულობა.

ინდიკატორები

- ტექნიკური უსაფრთხოების პირობების დაუცველობის შედეგად დაზიანებულ მოქალაქეთა რაოდენობის ცვლილება.

რისკები

- აღნიშნულ პროცესში მოსახლეობის და ბიზნეს სექტორის დაბალი ჩართულობა.

მიზანი 4: სამინისტროს გააჩნია პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის გამართული ციკლი

მიმდინარე მდგომარეობით, სხვადასხვა სამინისტროების მიერ განხორციელებულ პროგრამებსა თუ სხვა ქმედებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობაა. კერძოდ, იმ მიმართულებებში, სადაც ადგილი აქვს სამინისტროების მანდატების გადაფარვას (მაგალითად, ეკონომიკის განვითარება, რომელიც მიეკუთვნება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციას, და სოფლის განვითარება, რომელიც მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას), შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა სამინისტროების ან/და მათი უწყებების ქმედებების დუბლირებას ან შეუთავსებლობას.

ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი ქმედებების განხორციელების ან/და ქმედებების დუბლირების და შესაბამისად, რესურსების არაეფექტური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამინისტროებს შორის სტრატეგიული დაგეგმარების ჰარმონიზაციას. დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული სამინისტროს თუ უწყების ჩართულობა უზრუნველყოფს ქმედებების წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო რესურსების არაეფექტური ხარჯვის რისკს და ზრდის მთავრობის ინტერვენციების ეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ პოლიტიკის დაგეგმვის ხარისხის ასამაღლებლად, ცენტრალური მთავრობის დონეზე, პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ (30.12.2016 საქართველოს მთავრობის დადგენილება #629), რომლის გადახედვა და განახლებაც მიმდინარეობს დღეის მდგომარეობით.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თავისი მანდატიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მაკორდინირებელი როლი გააჩნია აჭარის ა.რ.-ის მთავრობაში. ეს გამომდინარეობს შემდეგი გარემოებებიდან: ერთი მხრივ, სამინისტრო პასუხისმგებელია ბიუჯეტირების პროცესზე და შესაბამისად, მართავს მთავრობის ხარჯვით პოლიტიკას, მეორე მხრივ, სამინისტრო, როგორც ეკონომიკის განვითარების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ერთეული, დაკავშირებულია მთავრობის აქტივობის ფაქტობრივად ყველა სფეროსთან. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ სამინისტრომ აჭარის ა.რ.-ის მთავრობის მიმართ წამოაყენოს ერთიანი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბების ინიციატივა, საქართველოს ცენტრალური მთავრობის არსებული პრაქტიკის გამოყენებით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს გააჩნია შემდეგი ამოცანები:

1. გამართოს პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი და უზრუნველყოს მისი ინსტიტუციონალიზაცია;
2. უზრუნველყოს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში კვლევის ძლიერი კომპონენტის არსებობა;
3. უზრუნველყოს პოლიტიკის განხორციელების ინტეგრირებული მონიტორინგი, მისი ეფექტურობის და ზეგავლენის შეფასება;
4. უზრუნველყოს დარგობრივი (სამინისტროს კომპეტენციაში) სტრატეგიული დოკუმენტები.

ამოცანა 4.1. გამართულია პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი და უზრუნველყოფილია მისი ინსტიტუციონალიზაცია

არსებული სიტუაცია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ, საქართველომ მიზნად დაისახა, ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გასაღრმავებლად და ევროინტეგრაციის დაჩქარებისთვის გაეტარებინა საჯარო რეფორმები. რეფორმის შესრულების ერთ-ერთ საკვანძო სფეროს პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია წარმოადგენს. პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის განვითარება აუცილებელი წინაპირობაა შედეგზე ორიენტირებული მართველობის სისტემის შესაქმნელად. საამისოდ უნდა მოხდეს შესაბამისი ადამიანური რესურსების გამოყოფა და პროცედურის შემუშავება.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>პოლიტიკის დაგეგმვის ციკლის გამართვის და მისი ინსტიტუციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• სამინისტროს ორგანიზაციულ სტრუქტურაში პოლიტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის ფუნქციების მკვეთრად ასახვას;• კვლევისათვის საჭირო ადამიანური რესურსების არსებობას;• პროცედურული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავებას და დანერგვას;• ადამიანური რესურსების პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით განვითარებას (სატრენინგო პროგრამა).
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• სამინისტრო თანხვედრაშია ახალ სარეფორმო რეგულაციებთან;• პოლიტიკის დაგეგმვა და კანონმდებლობის შემუშავება სინქრონიზებულია;• სამინისტროების ინსტიტუციური მოწყობა უზრუნველყოფს პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამართულად წარმართვას.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• არსებობს პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• დაგეგმილი პოლიტიკის შესასრულებლად საჭირო საკადრო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

ამოცანა 4.2. უზრუნველყოფილია პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში კვლევის ძლიერი კომპონენტის არსებობა

არსებული სიტუაცია	მიმდინარე ეტაპზე, კვლევის კომპონენტი დაბალ დონეზეა განვითარებული.
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>კვლევის კომპონენტის სრულყოფის და გაუმჯობესების მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• შესაბამისი მეთოდოლოგიის განსაზღვრას და შემუშავებას;• კვლევის პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერას და ინფორმაციის წყაროებზე ხელმისაწვდომობას;• მონაცემების და ინფორმაციის შეგროვებას;• კვლევის განხორციელების მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარებას (სატრენინგო პროგრამა);• რეგულირების გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას;• კვლევის განხორციელების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• პოლიტიკა, რომელიც იგეგმება ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• აღნიშნული პოლიტიკის ქვეშ წარმატებული პროექტების წილი მთელ პორტფელთან.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• არასრულყოფილი ინფორმაცია სათანადო კვლევის განსახორციელებლად.

ამოცანა 4.3. უზრუნველყოფილია პოლიტიკის განხორციელების ინტეგრირებული მონიტორინგი, მისი ეფექტიანობის და ზეგავლენის შეფასება

არსებული სიტუაცია	საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები არის მყიფე და ფრაგმენტული, რომელიც გამორიცხავს პოლიტიკის შედეგების სათანადო შეფასებას ამა თუ იმ სფეროში. არ არსებობს რეგულაცია სექტორული სტრატეგიების შეფასებისა და წინასწარ განსაზღვრული
-------------------	--

პრიორიტეტების და ამოცანების შესრულების მონიტორინგისთვის.

შესამუშავებელია მეთოდოლოგია, რომელიც სისტემურს გახდის პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის პროცესს და მეტ ბერკეტს მისცემს ორგანიზაციას, დროული რეაგირება მოახდინოს მიმდინარე მოვლენებზე.

2019-2021 წლების

განმავლობაში

სამინისტროს მიერ

განსახორციელებელი

ქმედებები

პოლიტიკის განხორციელების ინტეგრირებული

მონიტორინგის, მისი ეფექტიანობის და ზეგავლენის შეფასების

მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის პროცედურული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს დანერგვას;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების განვითარებას პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების განხორციელების მიმართულებით.

მოსალოდნელი

შედეგები

- არსებობს პროაქტიული რეაგირების საშუალება არსებული რისკების სამართავად და შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად.

ინდიკატორები

- სანქციების ოდენობის ცვლილება.

რისკები

- შესაბამისი რეგულაციის არარსებობა.

ამოცანა 4.4. უზრუნველყოფილია დარგობრივი (სამინისტროს კომპეტენციაში) სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება

არსებული სიტუაცია

ამჟამად არ არსებობს და უნდა შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტების ნუსხა, მათი სტრუქტურა, მომზადებისა და დამტკიცების პროცედურები. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას მეთოდური მითითებები/სახელმძღვანელო, რათა დეტალურად გაიწეროს პოლიტიკის შემუშავების თითოეული ეტაპი - ანალიზი, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, და დოკუმენტების სახეები და მათი შემუშავების მეთოდები.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული დოკუმენტების იერარქიის განსაზღვრას და მათი შემუშავების გეგმის ჩამოყალიბებას; • სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებას გეგმის მიხედვით (მათ შორის: ეკონომიკური განვითარების, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურული განვითარების და უსაფრთხოების სტრატეგია).
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • კოორდინირებულია დარგობრივი საორგანიზაციო საქმიანობა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • არსებობს დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტები.
რისკები	<ul style="list-style-type: none"> • კადრების მაღალი რეზისტენტულობა.

მიზანი 5: ბიუჯეტირების პროცესი კოორდინირებული და გამჭვირვალეა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადებას, რომლის ფარგლებშიც აჭარის ა.რ.-ის სხვა სამინისტროები აწვდიან მას შესაბამის საბიუჯეტო განაცხადებს. სამინისტრო, მისი კომპეტენციის ფარგლებში, აანალიზებს მოცემულ საბიუჯეტო განაცხადებას რამდენიმე მიმართულებით: მოთხოვნილი თანხის მოცულობა, მოთხოვნილი თანხის მიზნობრიობა, მოთხოვნილი თანხის საოპერაციო პერიოდის ფარგლებში გადანაწილება.

სხვა სამინისტროების მიერ წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადები საჭიროებს დახვეწას ბიუჯეტის გაანგარიშების თვალსაზრისით. რის გამოც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ფერხდება ერთიანი დასაბუთებული ბიუჯეტის შედგენის პროცესში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს გააჩნია შემდეგი ამოცანები:

1. აჭარის ა.რ.-ის სამინისტროების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტები და პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს ერთიან მეთოდოლოგიას და ბიუჯეტის შედგენის წესს;
2. აჭარის ა.რ.-ის ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან თანხვედრაში;

3. საზოგადოება ჩართული უნდა იქნას ბიუჯეტების პროცესში, ამასთან, აღნიშნული პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი საჭიროებები.

ამოცანა 5.1. აჭარის ა.რ.-ის სამინისტროების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტები და პროგრამები შეესაბამება ერთიან მეთოდოლოგიას და ბიუჯეტის შედგენის წესს

არსებული სიტუაცია	აჭარა ა.რ.-ში არსებული ბიუჯეტების მეთოდოლოგია ვერ აკმაყოფილებს სამინისტროს მოთხოვნილებებს, მიზანშეწონილია, სამინისტრომ განახლოს მეთოდოლოგია. განახლებულ მეთოდოლოგიაში განსაზღვრული იქნება კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სხვა სამინისტროებმა და შესაბამისმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საბიუჯეტო განაცხადის მომზადებისას, რათა მოთხოვნილი თანხა გამყარებული იყოს საკმარისი დასაბუთებით.
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	სამინისტროების მიერ ბიუჯეტების და პროგრამების ერთიანი მეთოდოლოგიით მომზადებისა და მათი ბიუჯეტის შედგენის წესთან შესაბამისობის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს: <ul style="list-style-type: none">• ბიუჯეტის შედგენის წესის დახვეწა-განახლებას;• პროგრამული ბიუჯეტის მომზადების ელექტრონული პროგრამის შექმნას და ამოქმედებას;• კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვის ფარგლებში:<ul style="list-style-type: none">○ კაპიტალური პროექტების იდენტიფიკაციას და კაპიტალური ბიუჯეტის დანართის შემუშავებას;○ შესაბამისი პლატფორმის შემუშავებას და დანერგვას;• სამინისტროების პროგრამული დაგეგმარების მიმართულების კადრების განვითარებას (ტრენინგები, კონსულტაციები);• საბიუჯეტო პროგრამების მომზადების და შეფასების პროცესის დანერგვას, ეკონომიკურ კვლევაზე დაყრდნობით.

- | | |
|-----------------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგები | <ul style="list-style-type: none">• ბიუჯეტების პროცესის სტანდარტიზაცია;• პროექტების შეფასების პროცესის სტანდარტიზაცია და გამარტივებული ანალიზი. |
| ინდიკატორები | <ul style="list-style-type: none">• გეგმა-ზომიერად ხანგორცხიელებული პროექტების რაოდენობის ზრდის კოეფიციენტი. |
| რისკები | <ul style="list-style-type: none">• სათანადო კვალიფიკაციის კადრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. |

ამოცანა 5.2. აჭარის ა.რ.-ის ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან თანხვედრაში

არსებული სიტუაცია მიმდინარე მდგომარეობით აჭარა ა.რ.-ის საბიუჯეტო გეგმა მზადდება საშუალოვადიან პერიოდში, თუმცა მისი სტრატეგიულ მიზნებთან შეთანხმება არ ხერხდება. აჭარა ა.რ.-ის რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებულია და საჭიროებს დამტკიცებას.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები რესპუბლიკის ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისი სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან თანხვედრის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- დამტკიცებული ბიუჯეტის სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართებაში ანალიზის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას და დანერგვას;
- პრიორიტეტების კომისიის ფუნქციონირების ფორმალური პროცედურული და ხარისხობრივი შეფასების ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ა.რ.-ის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით.

- | | |
|-----------------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგები | <ul style="list-style-type: none">• უზრუნველყოფილია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პროექტების განხორციელების იდენტიფიცირება და განხორციელება;• შექმნილია საშუალოვადიანი დაგეგმვის სრული ციკლი. |
|-----------------------------|---|

- ინდიკატორები**
 - საბიუჯეტო პარამეტრები მაქსიმალურად თანხვედრაშია საშუალოვადიანი დაგეგმვასთან.
- რისკები**
 - სტრატეგიული განვითარების მიმართულებების არასათანადო შერჩევა;
 - სათანადო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა.

5.3. საზოგადოება აქტიურადაა ჩართული ბიუჯეტირების პროცესში, პროცესი გამჭვირვალეა და საზოგადოებრივი საჭიროებები ასახულია ბიუჯეტში

არსებული სიტუაცია ბიუჯეტირების პროცესი, მოსახლეობის მაღალი ჩართულობის თვალსაზრისით, საჭიროებს სრულყოფას. ამ მომენტისთვის სამინისტრო ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ავრცელებს, თუმცა ამ ინფორმაციაზე უკუკავშირის მიღება და შემდგომში ინფორმაციის სიღრმისეული დამუშავება არ ხორციელდება.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები ბიუჯეტირების პროცესში საზოგადოების ჩართულობის, პროცესის გამჭვირვალეობის და ბიუჯეტში საზოგადოებრივი საჭიროებების ასახვის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- მოსახლეობისგან ინფორმაციის მიღების მექანიზმის შემუშავებას და მოსახლეობასთან ღია დისკუსიების გამართვის პლატფორმის დანერგვას და გამოყენებას ბიუჯეტის შემუშავების ყველა ეტაპზე;
- ბიუჯეტის შემუშავების პროცესის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტის შუალედური ვერსიების საჯარო გამოქვეყნების და საზოგადოებასთან განხილვის მექანიზმის დანერგვას;
- საბიუჯეტო პროგრამების მონიტორინგის სისტემის ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავებას და დანერგვას.

მოსალოდნელი შედეგები

- საზოგადოებისგან უკუკავშირის გამართული პროცესი;

- არსებულის რესურსების გათვალისწინებით უზრუნველყოფილია საზოგადოების გონივრული მიზნების დაკმაყოფილება.
- ინდიკატორები**
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი; (პლატფორმა, შუალედური განხილვის პროცედურა);
 - საზოგადოების მიერ ინიცირებული დამტკიცებული პროექტების რაოდენობა;
 - საჯარო განხილვების რაოდენობის ზრდა.
- რისკები**
- საზოგადოების ჩართულობის დაბალი დონე.

მიზანი 6: აქტივების პორტფელი ოპტიმალურია და ეფექტიანი

ამჟამად არსებული ა.რ.-ის ქონების რეესტრი საჭიროებს სრულყოფას. მასში არ არის სრულყოფილი ინფორმაცია აქტივების პორტფელის შესახებ. სამინისტროს არ გააჩნია ერთიანი სისტემური პლატფორმა, სადაც შეძლებდა მის განკარგვაში არსებული აქტივების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის თავმოყრას. დასახვეწია აღნიშნული პორტფელის მართვის სტრატეგია.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამინისტროს გააჩნია შემდეგი ამოცანები:

1. უზრუნველყოს აჭარის ა.რ.-ის განკარგვაში არსებული აქტივების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
2. შეიმუშაოს აჭარის ა.რ.-ის განკარგვაში არსებული აქტივების პორტფელის განკარგვის სტრატეგია და უზრუნველყოს პორტფელის ოპტიმიზაცია.

ამოცანა 6.1. უზრუნველყოფილია აჭარის ა.რ.-ის განკარგვაში არსებული აქტივების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

არსებული სიტუაცია სამინისტროს არ გააჩნია ბერკეტი საკუთარი საინვესტიციო პოტენციალის სრულად ასათვისებლად, ვინაიდან დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმიუწვდომელია არსებული აქტივების მოცულობა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. საჭიროა, შეიქმნას ბაზა, სადაც წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები, რაც შესაძლებელს გახდის, ინვესტორებთან დამყარდეს პროაქტიული ურთიერთობა.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	რესპუბლიკის განკარგვაში არსებული აქტივების აღრიცხვის და აქტივების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:
	<ul style="list-style-type: none">• ელექტრონული ბაზის / მართვის სისტემის დანერგვას;• რეესტრის სრულყოფას, რაც გულისხმობს მართვის სისტემაში ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას;• ხანდაზმულობის გათვალისწინებით საწარმოების დოკუმენტაციის დაარქივებას;• აქტივების შესახებ ინფორმაციის კომუნიკაციის (მათ შორის, შიდა, აჭარის მთავრობის ფარგლებში, მუნიციპლიტეტებთან და გარე საზოგადოებასთან) ფორმალური პროცედურული ჩარჩოს შემუშავებას და დანერგვას;• აქტივების ნუსხების საჯაროობის უზრუნველყოფის (პროცედურული ჩარჩოს შესაბამისად) მიზნით, შესაბამისი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბებას, მათ შორის, არსებულ მონაცემთა ბაზასთან (საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებზე) დაკავშირებული მისამართის (ლინკი) სამინისტროს ვებგვერდზე ასახვას.
მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none">• ქონებრივი რესურსების გამჭვირვალობა და მისაწვდომობა სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებებისთვის.
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none">• სრულად აღრიცხული და შეფასებული ქონების რაოდენობრივი მაჩვენებლები;• ქონების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.
რისკები	<ul style="list-style-type: none">• სადაო ქონების არსებობა.

ამოცანა 6.2. აჭარის ა.რ.-ის აქტივების პორტფელის განკარგვის სტრატეგია შემუშავებულია და პორტფელის ოპტიმიზაცია უზრუნველყოფილია

არსებული სიტუაცია	აქტივების რეესტრის სრულყოფასთან ერთად, საჭიროა, გაიწეროს სამინისტროს განკარგვაში არსებული აქტივების პორტფელის განკარგვის სტრატეგია.
2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები	<p>რესპუბლიკის განკარგვაში არსებული აქტივების პორტფელის განკარგვის სტრატეგიის შემუშავების და პორტფელის ოპტიმიზაციის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none">• აქტივების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიური და პროცედურული ჩარჩოს ჩამოყალიბებას;• საწარმოების შეფასებას, პრიორიტეტიზაციას და განკარგვის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადებას;• სახელმწიფო აქტივების განკარგვის (საკუთრებაში არსებული ქონების) წლიური დაგეგმვის მიდგომის შემუშავებას, დანერგვას და წლის გეგმის განსაზღვრას;• აჭარის ა.რ.-ის საკუთრებაში არსებული იმ უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის/სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას, რომლის განკარგვა უნდა განხორციელდეს მათ მიერ, შესაბამისი სტრატეგიის გათვალისწინებით;• შენობა-ნაგებობის დემონტაჟის აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროებისამებრ მოქმედებას;• საწარმოების ბიზნეს-გეგმების ანალიზის პროცედურის ჩამოყალიბებას;• წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მენეჯერული რგოლის შერჩევის და დანერგვის მექანიზმის შემუშავებას;• წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ანტიკორუფციული მექანიზმის დანერგვას;• წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვას;• წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში შესაბამისი საბუღალტრო პროგრამის დანერგვას.

- | | |
|-----------------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგები | <ul style="list-style-type: none">• აქტივების პორტფელის ოპტიმალური ათვისება;• გამოუყენებელი ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება. |
| ინდიკატორები | <ul style="list-style-type: none">• არსებობს განკარგვის სტრატეგიის დოკუმენტი;• არსებობს აქტივების განკარგვის მკაფიო გეგმა;• პორტფელის განკარგვა ხორციელდება გეგმის შესაბამისად;• პორტფელში დაუტვირთავი ქონება. |
| რისკები | <ul style="list-style-type: none">• სადაო ქონების არსებობა და დავების გაჭიანურებული პროცესი. |

მიზანი 7: საქმიანობის ეფექტიანობის მართვის სისტემა ჩამოყალიბებული და ქმედითია

მიმდინარე ეტაპზე სამინისტროს საქმიანობა საჭიროებს დახვეწას სამინისტროს სტრატეგიული ამოცანების ეფექტიანად შესრულების მიზნით. ასევე გასაუმჯობესებელია შიდა კომუნიკაციის სისტემა, შესამუშავებელია ინსტიტუციური მეხსიერების მექანიზმი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს გააჩნია შემდეგი ამოცანები:

1. ორგანიზაციულმა სტრუქტურამ უზრუნველყოს სამინისტროს სტრატეგიული ამოცანების ეფექტიანად შესრულება;
2. გააჩნდეს ადამიანური რესურსების განვითარების თანმიმდევრული სისტემა, რომელიც თანხვედრაში იქნება სტრატეგიულ პრიორიტეტებთან;
3. არსებობდეს ისეთი შიდა კომუნიკაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად გაცვლას;
4. არსებობდეს ინსტიტუციური მეხსიერების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის და ინფორმაციის დაგროვებას და სათანადო ხელმისაწვდომობას.

ამოცანა 7.1. ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სამინისტროს სტრატეგიული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას

არსებული სიტუაცია მიმდინარე ეტაპზე, იშვიათ შემთხვევებში, დეპარტამენტულ დონეზე ხდება გარკვეული ფუნქციების დუბლირება.

სასურველია მათი გადატანა სხვა დეპარტამენტში ან შესაბამის საჯარო სამსახურის იურიდიულ პირთან.

2019-2021 წლების

განმავლობაში

სამინისტროს მიერ

განსახორციელებელი

ქმედებები

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის მეშვეობით სამინისტროს სტრატეგიული ამოცანების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო:

- შეიმუშავებს ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- განახორციელებს რეორგანიზაციას.

მოსალოდნელი

შედეგები

- ორგანიზაციული ერთეულების და ადამიანური რესურსების ოპტიმალური დატვირთვა და გამოყენება;
- სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ინდიკატორები

- სტანდარტული დავალებების შესრულების დრო.

რისკები

- რეორგანიზაციის პროცესის გაჭიანურება;
- კადრების მხრიდან რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებული წინააღმდეგობები.

ამოცანა 7.2. ადამიანური რესურსების განვითარება თანმიმდევრულია და თანხვედრაშია სტრატეგიულ პრიორიტეტებთან

არსებული სიტუაცია

არსებული ადამიანური რესურსების განვითარების სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს სტრატეგიული პრიორიტეტების შესრულებას და საჭიროებს დახვეწას, შესაბამისი პროგრამების დანერგვის გზით.

2019-2021 წლების

განმავლობაში

სამინისტროს მიერ

განსახორციელებელი

ქმედებები

ადამიანური რესურსების განვითარების სისტემის თანმიმდევრულობის და მისი სტრატეგიულ პრიორიტეტებთან თანხვედრის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- ადამიანური რესურსების განვითარების პროცედურული ჩარჩოს ჩამოყალიბებას და თანამშრომელთა შეფასების სისტემის ინტეგრაციას განვითარების სისტემაში;

- განვითარების საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას და პილოტირებას;
 - თანამშრომლების ინდივიდუალური განვითარების გეგმების მომზადებას და შესრულების მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბებას;
 - ტრენინგების მომსახურების შესყიდვის და მიწოდების პროცესის სისტემატიზაციას;
 - მენტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას.
- მოსალოდნელი შედეგები**
- სამინისტროს ჰყავს კვალიფიციური გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ფუნქციონირებას.
- ინდიკატორები**
- პერიოდული შეფასების შედეგი.
- რისკები**
- განვითარების პროცესში ჩართულობის დაბალი დონე;
 - კადრების დენადობა.

ამოცანა 7.3. შიდა კომუნიკაციის სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად გაცვლას

- არსებული სიტუაცია** არსებული შიდა კომუნიკაციის სისტემა საჭიროებს დახვეწას და ერთიან სისტემაში მოქცევას.
- 2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ქმედებები**
- შიდა კომუნიკაციის სისტემის მეშვეობით ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გაცვლის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:
- შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნას;
 - შიდა კომუნიკაციის ფორმალური პროცედურული ჩარჩოს ჩამოყალიბებას;
 - შიდა საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმის დანერგვას.
- მოსალოდნელი შედეგები**
- გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარება;
 - სამინისტროს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდა;
- ინდიკატორები**
- არსებობს შესაბამისი პლატფორმა;

- კომუნიკაცია თანამშრომლებს შორის ხორციელდება პლატფორმის მეშვეობით.

რისკები

- კონფიდენციალურობის დაცვა;
- თანამშრომლების დაბალი ჩართულობა.

ამოცანა 7.4. ინსტიტუციური მეხსიერების სისტემა უზრუნველყოფს ცოდნის და ინფორმაციის დაგროვებას და სათანადო ხელმისაწვდომობას

არსებული სიტუაცია მიმდინარე ეტაპზე, სამინისტროში ინფორმაციის და ცოდნის გაცვლა ფრაგმენტულია და არ აქვს სისტემური ხასიათი.

2019-2021 წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ განახორციელებელი ქმედებები ინსტიტუციონალური მეხსიერების სისტემის მეშვეობით ცოდნის დაგროვების და სათანადო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2019-2021 წლებში სამინისტრო:

- განახორციელებს ცოდნის აქტივების ინვენტარიზაციას და მის მოწესრიგებას;
- შეიმუშავებს ცოდნის/ინფორმაციის მართვის პლატფორმას;
- განახორციელებს პლატფორმის ადმინისტრირების კონტროლს.

მოსალოდნელი შედეგები სამინისტროში დაგროვილი ცოდნის გამართული პლატფორმა, რაც უზრუნველყოფს მის უწყვეტ სტრატეგიულ საქმიანობას.

ინდიკატორები არსებობს პლატფორმა შესაბამისი საინფორმაციო ბაზით;

ბაზა ხელმისაწვდომია სამინისტროს თანამშრომლებისთვის.

რისკები

- კადრების მაღალი რეზისტენტულობა;
- კადრების დაბალი ჩართულობა.